

## სადიაგნოსტიკო ტესტი მათემატიკაში

მოსწავლე .....

კლასი: .....

1. რომელ რიცხვშია **8** ათასეული და კიდევ **12** ერთეული.

ა) 80012

გ) 8012

ბ) 812

დ) 802

2. მოცემულია რიცხვი: **7846**. რომელია ამ რიცხვის უახლოესი ათეული?

ა) 7900

გ) 7850

ბ) 7800

დ) 7840

3. როგორი რიცხვი უნდა გამოვაკლოთ **9000**-ს, რომ მივიღოთ **3000**-ზე მეტი რიცხვი?

ა) 8000-ზე მეტი

გ) 6000-ზე ნაკლები

ბ) 7000-ზე მეტი

დ) 6000-ზე მეტი

4. ნინომ რაღაც წესით შეავსო ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

|    |       |
|----|-------|
| 30 | 30000 |
| 60 | 60000 |
| 20 | 20000 |
| 40 | 40000 |

რა წესია გამოყენებული პირველი სვეტის რიცხვებისგან მეორე სვეტის რიცხვების მისაღებად?

ა) გამრავლებულია 100-ზე

გ) გამრავლებულია 10000-ზე

ბ) გამრავლებულია 1000-ზე

დ) გამრავლებულია 10-ზე

5. თუ  $x : 25 = 800$ , მაშინ  $x =$

ა)  $800 : 25$

გ)  $800 - 25$

ბ)  $800 \cdot 25$

დ)  $800 + 25$

6. რვაკუთხედის ყველა გვერდი ტოლია. მისი პერიმეტრია **24 სმ**. რას უდრის ამ რვაკუთხედის ერთი გვერდის სიგრძე?


ა) 3 სმ

გ) 6 სმ

ბ) 4 სმ

დ) 24 სმ

7. დიაგრამაზე ნაჩვენებია გიორგის ფერმაში ძროხების რაოდენობა 2006 წლიდან 2010 წლის ჩათვლით.



რამდენი ძროხა ჰყავდა გიორგის 2010 წელს?

ა) 3 5

გ) 40

ბ) 25

დ) 45

8. შემოხაზე 50321-ის ათასეულისა და ათეულის თანრიგებში მდგარი ციფრების ჯამი.

ა) 2

გ) 5

ბ) 7

დ) 4

9. რომელ ვარიანტშია რიცხვები ზრდის მიხედვით დალაგებული?

ა) 25000, 13700, 28000, 30000

ბ) 13700, 25000, 30000, 28000

გ) 25000, 28000, 13700, 30000

დ) 13700, 25000, 28000, 30000

10. ცარიელ უჯრაში ჩაწერე გამოტოვებული ციფრი.

$$\begin{array}{r} 2\ 5\ 6\ 6 \\ +5\ 0\ \boxed{\phantom{0}}\ 9 \\ \hline 7\ 5\ 7\ 5 \end{array}$$

11. ქვემოთ სურათზე გამოსახულია „რიცხვების მანქანა“.



მასში ჩააგდებენ რიცხვს და მანქანა სხვა რიცხვს გამოაგდებს რაღაც წესით.

რა რიცხვი უნდა ჩავაგდოთ „რიცხვების მანქანაში“, რომ მან დაგვიბრუნოს რიცხვი 5?

ა) 2

გ) 12


ბ) 9

დ) 1

12. მჭედელს მხოლოდ 22 ნალი აქვს. თითო ცხენისთვის ოთხი ნალია საჭირო. რამდენი ცხენის დაჭედვა შეუძლია მჭედელს თავისი ნალებით? რამდენი ნალი მორჩება მას?


- ა) 2 ცხენი და 2 ნალი
- ბ) 1 ცხენი და 4 ნალი
- გ) 5 ცხენი და 2 ნალი
- დ) 5 ცხენი და 4 ნალი

13. მოსწავლეს სახლიდან სკოლამდე მისვლა ორი გზით შეუძლია: AKM გზით ან ABCDM გზით. შეადარე ამ ორი გზის სიგრძე ერთმანეთს.



პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში

14. სვეტოვან დიაგრამაზე მოცემულია სხვადასხვა დასახელების პროდუქტის ფასები ლარებში.



რა ღირს ორცხობილა და თხილი ერთად?

ამოხსნა ჩაწერე აქ:

პასუხი: .....

15. რომელია ორმოცდაათი ათას ცამეტის ციფრული ჩანაწერი?

ა) 513000

გ) 50013

ბ) 500013

დ) 5013

16. ბარათებზე წერია ციფრები:



ეს ციფრები დაალაგე ისე, რომ მიიღო უდიდესი შესაძლო რიცხვი.

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში

17. ბადის მეოთხედ ნაწილში დარგულია კარტოფილი. ბადის ნახევარი უჭირავს სიმინდს, ხოლო კიდევ ერთ მეოთხედში დარგულია სტაფილო. რომელი ნახატი შეესაბამება ამ შემთხვევას?

ა)

|           |         |
|-----------|---------|
| კარტოფილი | სიმინდი |
| სტაფილო   |         |

ბ)

|           |         |
|-----------|---------|
| კარტოფილი | სტაფილო |
| სიმინდი   |         |

გ)

|         |           |         |
|---------|-----------|---------|
| სიმინდი | კარტოფილი | სტაფილო |
|---------|-----------|---------|

დ)

|           |         |         |
|-----------|---------|---------|
| კარტოფილი | სიმინდი | სტაფილო |
|-----------|---------|---------|



18. რიცხვები დალაგებულია რაღაც წესით.

22496

23496

25496

ცარიელ უჯრაში ჩაწერე საჭირო რიცხვი.

19. მოცემულია გამოსახულება  $(34225 \cdot 55) \cdot 272$

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ამ გამოსახულების ტოლი?


ა)  $272 \cdot (34225 + 55)$

ბ)  $(272 \cdot 55) - 34225$

გ)  $34225 \cdot (55 \cdot 272)$

დ)  $34225 : (55 \cdot 272)$

20. გიორგი ასანთის ღერებით და პლასტელინით აკეთებს კუბის ფორმის მოდელს. ნახატზე ნაჩვენებია მისი დაუმთავრებელი მოდელი.



კიდევ რამდენი ასანთის ღერი სჭირდება გიორგის მოდელის დასასრულებლად?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში

21. წაიკითხე ცხრილში მოცემული ინფორმაცია:

| სახელი | დაბადების წელი | დაბადების ადგილი | სკოლა | კლასი   |
|--------|----------------|------------------|-------|---------|
| ანი    | 2002           | ბათუმი           | № 8   | მეხუთე  |
| დათო   | 2004           | თბილისი          | № 25  | მეექვსე |
| ეკა    | 2002           | თბილისი          | № 8   | მეხუთე  |
| კოტე   | 2002           | თბილისი          | № 25  | მეხუთე  |

ჩაწერე ცარიელ უჯრაში იმ ბავშვების სახელები, რომლებიც ერთიდაიმავე ქალაქში დაიბადნენ და თან ერთიდაიმავე ნომერ სკოლაში სწავლობენ.

22. რიცხვის ათასეულის თანრიგის ციფრია 4, ხოლო ერთეულის თანრიგის ციფრია 2. რა რიცხვი შეიძლება იყოს ეს?

ა) 5 4267


ბ) 57426


გ) 54672

დ) 57462

23. მოცემულია ორი ტოლი წრე. თითოეული მათგანი დაყოფილია ტოლ ნაწილებად.

შეადარე ტოლი წრეების რუხი ნაწილები ერთმანეთს და ცარიელ უჯრედში ჩაწერე საჭირო ნიშანი: „<“, „>“ ან „=“.







24. ოთხი ათეული გაამრავლეს სამ ათეულზე. რამდენი ასეული მიიღეს?

- ა) 7                      ბ) 12                      გ) 70                      დ) 120

25. ნინოს აქვს რიცხვების მანქანა. მანქანაში შედის რიცხვი და რაღაც წესით გამოდის სხვა რიცხვი.



შეავსე რიცხვების მანქანის ცხრილში გამოტოვებული უჯრები.

| შესული რიცხვი | გამოსული რიცხვი |
|---------------|-----------------|
| 3             | 900             |
| 5             | 1500            |
| 6             | 1800            |
| 8             |                 |
|               | 2700            |

26. მოცემულია ტოლობა

$$125 \cdot (137 + 220) = 125 \cdot 137 + \boxed{\phantom{000}} \cdot 220$$

ცარიელ უჯრაში ჩაწერე საჭირო რიცხვი

27. გაიაზრეთ ორი წინადადება და ამოარჩიეთ, რომელია მართებული:

I. მართკუთხედის პერიმეტრი ნაკლებია, ვიდრე ამავე მართკუთხედის მოკლე გვერდის გაოთხეცებული სიგრძე.

II. მართკუთხედის პერიმეტრი ნაკლებია, ვიდრე ამავე მართკუთხედის სიგრძისა და სიგანის ჯამი.

- ა) მხოლოდ I                                              გ) ორივე  
ბ) მხოლოდ II                                            დ) არცერთი